ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ანსარების შესახებ თქვა: «მხოლოდ მორწმუნეს უყვარს ისინი და მხოლოდ თვალთმაქცებს სძულს ისინი. ვინც მათ შეიყვარებს, მას ალლაჰი შეიყვარებს, ხოლო ვინც მათ შეიძულებს, მას ალლაჰი შეიძულებს

ალ-ბარა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ანსარების შესახებ თქვა: «მხოლოდ მორწმუნეს უყვარს ისინი და მხოლოდ თვალთმაქცებს სძულს ისინი. ვინც მათ შეიყვარებს, მას ალლაჰი შეიყვარებს, ხოლო ვინც მათ შეიძულებს, მას ალლაჰი შეიძულებს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ მედინელი ანსარების სიყვარული არის რწმენის სისრულის ნიშანი, რადგან მათ იჩქარეს ისლამისა და მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მხარდაჭერა, ცდილობდნენ მუსლიმების შეფარებას და სწირავდნენ თავიანთ ქონებასა და სიცოცხლეს ალლაჰის გზაზე. ხოლო ანსარების მიმართ სიძულვილი არის მუნაფიყების (თვალთმაქცების) ნიშანი. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ვინც ანსარებს შეიყვარებს, მას ალლაჰი შეიყვარებს, ხოლო ვინც მათ შეიძულებს, მას ალლაჰი შეიძულებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3438

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee